№ 958 სამშაბათი, 9 ნოემბერი. 1898—1899 სამშაბათი, 9 ნოემბერი № 958

სტამბა და რედაქცია
ტფილისი, სასახლის ქ.,
სათ.-აზნაურთ ქარვასლა
ხელის-მომწერნი გაზეთის დასაკვეთად მიმართავენ რედაქციას დილის 10-3 საათამდე და საღამოს 6-ან „წ. კ. საზ." წიგნის მაღაზია
ხელ-მოუწერავ წერილებს რედაქცია არ ბეჭდავს.
პირის-პირ მოლაპარაკება რედაქტორთან შეიძლება ყოველ დღე.
ტელეფონი № 363

ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური გამოცემა

გაზეთის ფასი
ერთის წლით 6 მან., ერთი
თვით 60 კაპ.
თითო ნომერი 3 კაპიკი
ფასი განცხადებისა
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ
გვერდზე 10 კაპ., მეოთხეზე — 5 კ.
Типографія и редакція
„Цнобисъ Пурцели"
Тифлисъ, Дворцовая ул.
д. Дворянства.
Телефонъ № 363

წლის დამლევამდე
გაზეთი „ცნობის ფურცელი"
ეღირება 1 მან. 50 კაპ.

ქართული თეატრი
ხუთშაბათს, 11 ნოემბერს,
არტისტი ქალის კნ. ბარბარე ავალიშვილის სასარგებლოდ
ქართული დრამატიული საზოგადოების არტისტებისაგან წარმოდგენილი იქნება ქალბ. მ. მ. საფაროვ აბაშიძის მონაწილეობით
ორი ობოლი
დრამა 5 მოქმედებად და 6 სურათად, თარგ. ა. ცაგარლისა.
მონაწილეობას მიიღებენ: ქ.ქ. მ. საფაროვისა, ან. აბაშიძე, გაბუნია-ცაგარლისა, ნეპიერიძე; ბ.ბ. კ. მესხი, ყიფიანი, სვიმონიძე, გედევანოვი, შათირიშვილი, ადამიძე, მძინაროვი და სხვ.
ადგილების ფასი ჩვეულებრივია.
დასაწყისი 8 საათზე.
რეჟისორნი: ვ. აბაშიძე და კ. მესხი.

!!მიაქციეთ ყურადღება!!
ჩინეთის მაღაზია
დ. ფ. დემენტიევისა
გოლოვინის პროსპექტი, ზუბალაშვილის [illegible] სობრანიეს გვერდზე.
იბემეთ ჩაი პირველი მოკრეფისა 1898 წლისა
მშვენიერი ყნოსვისა და სასიამოვნო გემოსი
ჩაი და ყავა იყიდება წვრილად და პარტიობით
ყოველს მყიდველს ჩვენის ჩაისას დაეთმობა მანათზე აბაზი და საჩუქრად მიიღებს ჩინეთის, იაპონიის და სხვა საჭირო და საოჯახო ნივთს.
ვინც 12 ან მეტ გირვანქა ჩაის იყიდის ჩვენგან იმას
საჩუქრად მიეცემა ჩაის სერვიზი
იქვე მრავალგვარი ჩინეთის და იაპონეთის ნივთებია
საჩუქრებისა და ნობათებისათვის
მაღაზიები იმყოფება როსტოვ-დონზე, კიევში, ოდესაში, იალტაში, ნიკოლაევში, ეკატერინოდარში, ხარკოვში, ეკატერინოსლავში პიატიგორსკში და ტფილისში
!!მიაქციეთ ყურადღება!!
(100—81)

ექიმი
კ. მ. ჩიქოვანი
ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილის 11—12-მდე და საღამოს 7—8 საათ.
მიხეილის ქუჩა, № 16.
Докторъ К. М. Чиковани
Михайлов., № 16.

ახალი წიგნები
მოლიპულ გზაზე
მოთხრობა ანასტასია ერისთავისა
ფასი ერთი მანათი.
მწარე ფიქრები
ლექსები დუტუ მეგრელისა, ფასი ერთი აბაზი.
ვინც ათზე მეტ ცალს დაიბარებს წ. კ. გ. საზოგადოების მაღაზიიდან 20% დაეთმობა.
(10—4)

ქ. ტფილისში
ექიმი
ნიკო თომას ძე
ერისთავი
ერთი თვით შეაჩერა თვის ბინაზე ავადმყოფების მიღება, რადგან დროებით მოსკოვში არის.
(5—3)

სამკურნალო და ამბულატორია
ს. ბ. თოფურიასი
ქუთაისში.
სამკურნალოში 60 საწოლია ავადმყოფთათვის მიიღებიან ავადმყოფნი: შინაგანისა, ნერვების, საქირურგო, თვალის და ქალთა ავადმყოფობისანი,
გადამდებ სენით ავადმყოფნი არ მიიღებიან.
ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე. შინაგან და ნერვების ავადმყოფობას სწამლობს ხ. ბ. თოფურია. საქირურგო თვალებ-ავადმყოფობას და სიფილისს ფ. კ. ზერრატი.
ქალთა ავადმყოფობას მკურნალი ქალი ნ. თ. კობანი.
ამბულატორიასთან არის კაბინეტი საექიმო და საბაქტერიოლოგიო გამოკვლევისათვის, ელექტრონით წამლობისათვისა და მასაჟის თვისი
სამკურნალოს დირექტორი ხ. ბ. თოფურია
Лечебница С. В. Топурія въ Кутаисѣ

ახალი ამბავი

⁂ საყურადღებო კრება. ამ წლის დეკემბრის 15 ტფილისის სასულიერო სასწავლებელში მოხდება ტფილისის საბლაღოჩინო მაზრის სამღვდელოების დეპუტატთა ჩვეულებრივი კრება სასწავლებლის სხვა და სხვა საქმეების შესამოწმებლად და განსაწესრიგებლად. ჩვენი სამღვდელოება, რამდენათაც ვიცით თავგანწირულად იბრძვის საშვილიშვილო საქმეებისათვის, მაგრამ იგი ხშირად კეთილ დაწყებულ საქმეს ბოლოს ვერ ადევნებს. ოცდა ხუთ წელიწადზე მეტი იქნება, რაც ტფილისის სასწავლებელთან მის მიერ დაწესებულია სამ განყოფილებიანი მოსამზადებელი კლასი იმ მიზნით, რომ სამღვდელო შვილებს ადვილად და მშობლების შეუწუხებლად შესაძლებლათ მომზადება სასწავლებლის პირველი შტატის კლასისათვის, გარნა ეს ოთხი ხუთი წელიწადია, რაც მოსამზადებელი კლასის პირველი განყოფილება დაიხურა და მასუკანია ერთობ უძნელდებათ სამღვდელოების შვილებს პირდაპირ მოსამზადებელი კლასის მეორე განყოფილებაში შესვლა, რადგან იგინი ყოვლად მოუმზადებელნი მოჰყავთ თავიანთ მშობლებს თუ სამერმისოთაც არ გაიხსნა სასულიერო სასწავლებლის მოსამზადებელი კლასის პირველი განყოფილება, სამღვდელოების შვილები მშრალზე დარჩებიან, რადგან მათი ვაკანსიებს სულ ერის კაცთა შვილებს დაურიგდებათ.

⁂ ახალი დანიშნულებანი. მთა-

ვარ-მართებლის საბჭოს წევრად გარდაცვალებულის ბ-ნი ბისკუპსკის მაგიერ, როგორც გაზ. „ნოვ. ობ.“ იუწყება ინიშნება მთავარ-მართებლის კანცელარიის საქმის მწარმოებელი ბ-ნი კესტერი.

⁂ **კადეტთა კორპუსის უფროსად** გენერალ სმირნოვის მაგიერ დანიშნულ იქმნება გენერალ-მაიორი ბ-ნი კიზეევი.

⁂ **სოხუმის ეპარქიის ახალი მმართველი.** სოხუმის ეხლანდელი ეპისკოპოსი ყოვლად სამღვდელო არსენი, როგორც გაზ. „ნოვ. ობ.“ ამბობს, სიბერისა გამო სამსახურს თავს ანებებსო და მის მაგიერ ეპისკოპოსად ინიშნება ყოვლად სამღვდელო ისიდორე, რომელიც ამ რამდენიმე წლის წინად ტფილისის სასულიერო სემინარიის ინსპექტორად იყო.

⁂ **საოლქო სასამართლოში** დღეს ირჩევა ბ-ნ ვ. გუნიას და დ. კეზელის საქმე

⁂ **ფულის გაფლანგვა ბანკში.** სამს ნოემბერს ნოტარიუსთა წესით ერთმა მსესხებელმა, ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკისამ მოსთხოვა ბანკს გირავნობის ფურცელნი 39,600 მანეთისა, ანუ ამისი ღირებულება და საბუთად აღნიშნა ის გარემოება რომ პ. რ. ყიფიანის ხელწერილი მაქვსო, რომ ჩემგან მიიღო იგი გირავნობის ფურცელი საკომისიოდ გასასყიდად და აქამომდე არც გირავნობის ფურცელნი დამიბრუნა და არც მათის ღირებულების ფასიო. ზედამხედველი კომიტეტი და გამგეობა ბანკისა იმავე დღეს შეუდგა ამის შესახებ ცნობების მოკრებასა და გამოძიებას და აღმოჩნდა, რომ ხსენებულ მსესხებელს იგი გირავნობის ფურცელნი სრულად და უკლებლივ მიუღია ბანკისაგან და მიღების ნიშნად მსესხებელთა მიერ ხელმოწერილი საბუთია საქმეში. არც საბანკო დავთრებსა და წიგნებში, რომელთაც აწარმოებდა პ. რ. ყიფიანი, ბანკში წარდგენილ მის მიერ ანგარიშებში არსად ხსენებაც არ არის, რომ პ. რ. ყიფიანს რაიმე საქმე დაეჭიროს ხსენებულ მსესხებელთან გირავნობის ფურცლების მიღების და გასყიდვის შესახებ. ამ სახით არავითარი ცნობა არ არის, რომ პ. რ. ყიფიანს ამ საქმეში ემოქმედნოს ბანკის სახელითა, როგორც წევრს ბანკის გამგეობისას. ყოველ ამების მიხედვით, აშკარაა, რომ მსესხებელს პ. რ. ყიფიანთან მორიგება ჰქონია, როგორც კერძო კაცთან და არა როგორც გამგეობის წევრთან, ბანკის სახელით მომქმედთან. არის სხვა საბუთებიც, რომ კაცმა ასე უნდა იფიქროს. მაინც და მაინც არა გვგონია ეს საქმე უსასამართლოდ გათავდეს და მაშინ გამოჩნდება ყოველივე ვითარება ამ უცნაურ და სამწუხარო ამბავისა. („ივ“).

⁂ **მამა დ. ჯანაშვილი.** ამ დღეებში ტფილისში საინგილოდამ ჩამოვიდა ქართველებში კარგად ცნობილი ისტორიკოსი მოძღვარი დიმიტრი (ინგილო ჯანაშვილი) ჯანაშვილი, რომელიც ტფილისში რამოდენიმე ხანს დარჩება.

⁂ **საინტერესო ცნობები ქართული თეატრის ისტორიიდან.** ერთ პირს დაუწერია ცნობები XVII საუკ. ქართულს ენაზე ნაწერი და ნათარგმ პიესების შესახებ და ეს ცნობები მალე ერთ-ერთს ქართულს ჟურნალში დაიბეჭდება. ამავე ცნობებში მოთავსებული იქნება გაბრიელ მაიორის ისტორიაც, რომელმაც საქართველოში პირველად გამართა ქართული წარმოდგენები. ეს გაბრიელ მაიორი 1795 წ. აღა მამად-ხანის ომში ნაჭერ ნაჭერ იქმნა დაკუწული

⁂ **ჟურნალი „მოამბე“.** ჩვენ მივიღეთ მეათე ნომერი (ოქტომბრისა) ჟურნალი „მოამბე“ შემდეგის შინაარსით: I „წარსულ დიდ სკოლაში“ — ნაწილი მეორე, XII —XX, მოთხრობა სოფ. მგალობლიშვილისა (დასასრული მეორე ნაწილისა); II „შემუსვრილი სამი მცნება“ —I და III, ლეგენდილური ამბავი შ. არაგვისპირელისა; III „ფინლანდიელების ლიტერატურიდან“ —I და IV, თარგმანი ივ. ზურაბიშვილისა; IV „ლაზარილიო ტორმესელი“ — I და II თარგმანი პ. უმიკაშვილისა; V „კრაზანა“ — ნაწილი მეორე, VIII. რომანი იტალიის ცხოვრებიდან, ჯოვანიჩისა, თარგმანი ნატალია რ. გიგაურისა (გაგრძელება); VI „ფინლანდიელების ლიტერატურა“ — I თარგმანი ნინო ზურაბიშვილისა; IIV „რა მნიშვნელობა აქვს ისტორიაში პიროვნებას, ანუ ადამიანის მოქმედებას?“ — V და VII ა კირხანოვისა, თარგმანი ლ. ქ—სა (დასასრული). VIII „ვეფხის-ტყაოსნის“ ყალბი ადგილები“ LXVI—LXXI, ალ. ს—შვილისა; XI „ჩარლზ პარნელი“ —IV და V, თარგმანი; X „შინაური ამბები“ — მოსკოვის საკრედიტო საზოგადოების საქმე. — რა აქვს ჩვენთან საერთო ამ საქმეს? — იქაურ და აქაურ ბანკირების შედარება — გამოძიება ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკში. — მინინსა და პოჟარსკის ძეგლი მოსკოვში. — საჭიროა ჩვენებურ მინინსა და პოჟარსკისაც დაედგას ძეგლი. — ქ. ქუთაისი და სწავლა-განათლების ხარჯი. — ქართული თეატრის მდგომარეობა. — ვისი ბრალია, რომ ის ვერ არის კარგს მდგომარეობაში? — იუბილეო წარმოდგენა ტფილისში. — ბ-ნ მთავარ-მართებლის დასწრება წარმოდგენაზე. — დ. ყიფიანის ძეგლის კურთხევა. — ივ. ზურაბიშვილისა.

ოჯახში გამოსადეგი ცნობა

რა სარგებლობა მოაქვს მერცხლებს. მერცხლები ჯგუფად სცხოვრობს და სწორედ ამით არის იგი ადამიანისათვის სასარგებლო. ერთი წყვილი მუდამ დღე თექვსმეტი საათი არის ფრენაში და თვითეული მერცხალი თავის ბარტყებს საათში ოცჯერ აჭმევს. ამ გვარად ბარტყების პატრონი დედალ მამალი მერცხალი დღეში 600-ჯერ მოიფრენს ხოლმე ბუდეზე; და რადგან თითო მოფრენაზე თითო-თითო მწერი მოაქვს ხოლმე პირით, მაშ ორივე მერცხალი დღეში 5,400 მწერს უზიდავს ბარტყებს. თავის გამოსაკვებადაც დღეში თითო მერცხალი მიახლოვებით 600 კოღოსა და ბუზსა სჭამს, ასე რომ მთელი მერცხლის ოჯახი მიახლოვებით დღეში 7000, ხოლო თვეში 201,000 მავნე მწერსა სჭამს. მოფრენის შემდეგ პირველ თვეს რომ თითო მერცხალმა 30,000 მერცხლის ბუდე, მთელი მერცხალი რომ გაანგარიშოთ მაგ, 576,000 მწერს დახოცავს, და სოფელზე რომ ასი წყვილი მერცხალი გიანგარიშოთ ბარტყებიანად, იგინი ზაფხულის განმავლობაში თითო სოფ. 57,000,000 მავნე მწერს გააწყობს.

საოჯახო ცნობა

თაგვების გასაწყვეტი საშუალება. საუკეთესო და უფრო უებარი საშუალება ამბრებსა და შენობებში თაგვების გასაწყვეტად შემდეგია. კარგად უნდა ამოავსოთ ყველა სოროების ხვრელები, ერთს გარდა; ამ ხვრელში რაც შეიძლება მჭიდროდ უნდა გაუკეთდეს ტყვიის მილი და მაგ ცოტაოდენი (ათიოდე მისხალი) გოგირდოვანი ნახშირ-ბადე ჩაასხას. რადგან ძალიან იშვიათება და იქარგება ეს ნივთიერება ეს ამიტომ იგი ყველა გზებით ატანს მაგ სოროებს და თაგვებს ახრჩობს, ამ საშუალებით პარიზის მუზეუმში — მსხვილი ცხვრების სადგურში, სადაც მეტის-მეტად მრავალი იყო ვირთაგვა, სულ მოკლე ხანში სრულებით გააწყვეს ვირთაგვები, და პირველ წამლის ჩაშვებაზედვე სოროებიდამ ას რვა დამხრჩვალი ვირთაგვა ამოიღეს.

ტელეგრამები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

დურბანი გენერალის ჟუბერის სიკვდილის ამბავი აქ ჯერ არ მოსულა.

დურბანი. „Natal Laveriser“-ი იუწყება ესტკორტიდგან, რომ 3 ნოემბერს დაიმტვრა მატარებელი, რადგან რელსები ბურებს აელაგებინათ. ორი ვაგონი და[illegible] სხვრა, შიგ მყოფი ჯ[illegible]-კაცები გადმოსცვივდნენ ბურ[illegible] თოფ-ზარბაზნების სროლ[illegible] ასტეხეს. ბურთა ერთი ნაწილი მატარებლის დანგრევას შეუდგა, მეორე ნაწილი-კი წინ წავიდა და ესტკორტიდგან რამდენიმე მილის მანძილზედ ინგლისის ჯარს სროლა აუტეხა.

ლონდონი. „Daily telegraph“-ი იუწყება ესტკორტიდგან, რომ მატარებლით მოგზაური ჯარი უზო-უკვლოდ დაიკარგა. როგორც ისმის, დაჭრილთა და დაკარგულთა რიცხვი უდრის 100 ს.

„Times“-ს ლორენცო-მარკეზიდგან დეპეშით აუწყებენ: აქ ხმა დადის, რომ ჟუბერი ბურების ერთ იარაღთან იდგა, როცა მას ინგლისელთა გემიდგან გამოსროლილ ყუმბარის ნატეხი მოხვდა

პარიზი. სამინისტრო გაზეთე[illegible] ამბობენ, რომ დიდი ხანია მთ[illegible]რობას ამდენი ხმა არ მიუღია რესპუბლიკას ასე მედგრად არ[illegible] ვაუმარჯვნია. ეს გაზეთები ამისთვინ ქებით იხსენიებენ ვალდეკ-რუსოს.

ესტკორტი. ლედი-სმიტიდგან მოსული მისიონერი იუწყება, რომ 29 ოქტომბერს ახალშენთა ჯარი და თავისუფალის ჯარის კაცები დილით ადრე გამოვიდნენ ლედი-სმიტიდგან და მტერი დაბლობიდგან უკუ აქცია. როცა ჟუიტმა მოულოდნელად მიიტანა იერიში მტერზე, ძლიერ დააზარალა იგი 200-ზე მეტი კაცი მტერმა მოკლულ ბურთა დასამარხად მოიხმარა.

ლორენცო მარკეზი. აქ ამბავი მოვიდა, რომ 2 ნოემბერს მთელს დღეს ლედი-სმიტს ყუმბარებს უშენდნენ შუაღამისას ბურებმა ხელმეორედ ასტეხეს სროლა. რამდენიმე შენობა ცეცხლმა მოიცვა.

ესტკორტი კავალერიის რაზმი წააწყდა სერზედ მტკიცედ დაბანაკებულს 300 ბურს, განდევნა იქიდგან და ზარალი მისცა. ინგლისელთა მხრივ დაიჭრა ერთი კაცი.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 8 Ноября 1899 г. სტ. ქნ. [illegible]) [illegible] ქუჩაზე), რედაქტორ-გამომცემელი [illegible]